# საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქეთევან ცინცაძე

## ბ ი უ ლ ე ტ ე ნ ი

კენჭისყრა - 30.05.2024

თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს გიზო უბილავას კანდიდატურა?

დიახ          არა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს

ბატონ ნიკოლოზ მარსაგიშვილს

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის

ქეთევან ცინცაძის

# მ ი მ ა რ თ ვ ა

30 მაისი, 2024 წელი ქ. თბილისი

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის $34^1$ მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად, საქართველოს პარლამენტისთვის გიზო უბილავას კანდიდატურის წარდგენის მხარდამჭერის შესახებ გადაწყვეტილების დასაბუთებას.

დანართი: 1 ფურცლად

პატივისცემით,

ქეთევან ცინცაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად, საქართველოს პარლამენტისთვის გიზო უბილავას კანდიდატურის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების

# დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

30 მაისი, 2024 წელი

ქ. თბილისი

2024 წლის 30 მაისს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის $34^{1}$ მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად ჩატარებული ღია კენჭისყრის ფარგლებში, მხარი დავუჭირე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის გიზო უბილავას კანდიდატურის წარდგენას, შემდეგ გარემოებათა გამო:

კანდიდატის გიზო უბილავას მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, კანდიდატის შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი დეპარტამენტის მიერ მოპოვებული ინფორმაციის და კანდიდატთან ჩატარებული საჯარო გასაუბრების საფუძველზე, მივედი დასკვნამდე, რომ კანდიდატი - გიზო უბილავა სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. ამასთან, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით კანდიდატი, ჩემს მიერ შეფასდა მაღალი შეფასებით - 92 ქულით (92%) (იხ. ქეთევან ცინცაძის - 2024 წლის 26 აპრილის შეფასების დასაბუთება - კანდიდატის გიზო უბილავას შესახებ).

ამდენად, მითითებული გარემოებების გათვალისწინებით მივიჩნევ, რომ გიზო უბილავა სრულად აკმაყოფილებს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობის დასაკავებლად საჭირო კეთილსინდისიერების და კომპეტენტურობის კრიტერიუმს და იგი სრულად შეესაბამება ამ თანამდებობას, რის გამოც, მხარს ვუჭერ მისი კანდიდატურის საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენას.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ქეთევან ცინცაძე